სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტი

რუსუდან დუმბაძე

ხორბლის ღეროს ჟანგას გენეტიკური და მოლეკულური პოლიმორფიზმი და დაავადებისადმი გამძლე გენოტიპების გამორჩევა

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ბათუმი 2017

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის, აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზოია სიხარულიძე - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის გამძლეობის გენეტიკის განყოფილების ხელმძღვანელი.

უცხოელი შემფასებლები: სონგ ვეინინგ - ბიოლოგიის დოქტორი, ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთის აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, მცენარეული გენომის სპეციალისტი.

ქადირ აქან - ბიოლოგიის დოქტორი, აჰი ევრან უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის პროფესორი.

შემფასებლები: **ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი** - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ესე ჯაყელი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის - ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

შოთა ლამპარაძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება 2017 წლის 12 ივლისს, 15:00 საათზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. მისამართი: ბათუმი 6010, ნინოშვილის ქ. #35, ოთახი 328.

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ამავე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.bsu.ge.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **შოთა ლამპარაძე**.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. განვითარებადი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელოვან პირობას სურსათის უზრუნველყოფა და სიღარიბის დაძლევა წარმოადგენს. ამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ნათესების ეფექტური დაცვა მრავალი ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედებისგან. ხორბალზე მოქმედი ბიოტური ფაქტორების რიგში ჟანგოვანი დაავადებები ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს და უხსოვარი დროიდან მოყოლებული დღემდე, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ხორბლის მწარმოებლებისთვის. ამის ძირითადი მიზეზი გახლავთ ჟანგას გამომწვევი სოკოვანი მიკროორგანიზმის ძალიან სწრაფი ცვალებადობის და ახალ გარემო პირობებთან ადაპტირების უნარი.

ჟანგას სამი სახეობიდან ყველაზე დიდი მავნეობით გამოირჩევა ხორბლის ღეროს ჟანგა (გამომწვევი - *Puccinia graminis f.* sp. Tritici). ბოლო წლებში რამდენიმე ქვეყანაში ახალი, მაღალვირულენტური რასათა ჯგუფის - Ug99 გამოჩენის გამო, განსაკუთრებით აქტუალურია ხორბლის ღეროს ჟანგას პოპულაციის კვლევა (Pretorius et al. 2000:203). ამ რასამ მანამდე გამძლე ჯიშები თითქმის 100%-ით გაანადგურა (Wanyera, 2008:9-11). Ug99 რასის მოძრაობის ტრაექტორიის გათვალისწინებით საქართველო მაღალი რისკის ქვეყნების რიგს მიეკუთვნება. აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის, როგორც ხორბლის სახეობრივი სიმრავლით გამორჩეული ქვეყნისთვის, ღეროს ჟანგას პოპულაციის კვლევა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში გავრცელებული ხორბლის ღეროს ჟანგას პოპულაციის გენეტიკური და მოლეკულური მრავალფეროვნების დახასიათება, პოპულაციის შიგნით მიმდინარე ცვლილებების შესწავლა და მიღებული შედეგების გამოყენება დაავადების კონტროლის მიზნით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანების შესრულება:

1. ხორბლის ღეროს ჟანგას გავრცელების და განვითარების შესწავლა უსქესო და სქესობრივ სტადიაში სხვადასხვა მასპინძელ მცენარეზე;

2. ხორბლის ღეროს ჟანგას გამომწვევი პათოგენის პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნების იდენტიფიცირება განვითარების სხვადასხვა ფაზაში;

3. ხორბლის ღეროს ჟანგას გამომწვევი სოკოვანი მიკროორგანიზმის მოლეკულური პოლიმორფიზმის შესწავლა;

4. ღეროს ჟანგასადმი ხორბლის გამძლე გენოტიპების სკრინინგი ადგილობრივი და საერთაშორისო სასელექციო მასალის იმონოლოგიური შეფასების გზით.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის პერიოდში შესწავლილი იქნა საქართველოში ხორბლის ღეროს ჟანგას გავრცელებისა და განვითარების ხარისხი, პირველად გაანალიზდა ხორბლის ღეროს ჟანგას გამომწვევის შიდასახეობრივი მრავალფეროვნება, ვირულენტური გენების სტრუქტურისა და მოლეკულური ნიშნის მიხედვით უახლესი მეთოდების გამოყენებით, დადგენილი იქნა ღეროს ჟანგას ქართული პოპულაციის ერთიანობა, გამოვლენილი იქნა არსებული საწარმოო ჯიშებისათვის ,,საშიში ვირულენტობა“, ეფექტური გამძლეობის გენები და გამძლეობის წყაროები. კვლევის შედეგები მეტად ფასეულია თეორიული თვალსაზრისით, კერძოდ *Puccinia graminis* მიკროევოლუციური პროცესების უკეთესად გააზრებისთვის და პრაქტიკული თვალსაზრისით - ხორბლის სელექციაში არსებული ჯიშების გამძლეობის გაუმჯობესების, ახალი გამძლე ჯიშების მიღების მიზნით და წარმოებაში შემოტანილი ახალი ჯიშების მოყვანის მიზანშეწონილობაზე რეკომენდაციების შემუშავებისათვის. მეცნიერული სიახლის შემცველია კვლევის ყველა შედეგი, რადგან წარმოდგენილი დისერტაცია არის ხორბლის ღეროს ჟანგას საქართველოში გავრცელებული პოპულაციის პირველი და ერთადერთი მრავალმხრივი კვლევა ბოლო 50 წლის მანძილზე.

კვლევის ობიექტი, მასალა და მეთოდიკა. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ხორბლის ღეროს ჟანგას გამომწვევის *Puccinia graminis f. sp. tritici* პოპულაცია, რომელიც წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, მესხეთი, ჯავახეთი) შეგროვებული ნიმუშებიდან გამოყოფილი მონოსპოროვანი იზოლატების სახით.

საკვლევ მასალას წარმოადგენდა ხორბლის ადგილობრივი სასელექციო მასალა (ენდემური სახეობები, ადგილობრივი ჯიშ-პოპულაციები) და საერთაშორისო ორგანიზაციების ICARDA (მშრალი რეგიონების სასოფლო სამეურნეო კვლევის საერთაშორისო ცენტრი) და CIMMYT (სიმინდის და ხორბლის გამოუმჯობესების საერთაშორისო ცენტრი) მიერ მოწოდებული ღეროს ჟანგასადმი გამძლეობის გენების მატარებელი ჯიშ-დიფერენციატორების და იზოგენური ხაზების საერთაშორისო ნაკრები და დაწინაურებული ჰიბრიდული ფორმები, პერსპექტიული ჯიშები და „ხაფანგი“ საერთაშორისო სანერგეები,.

კვლევა მიმდინარეობდა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის გამძლეობის გენეტიკის განყოფილებაში ლაბორატორიის, სათბურისა და მინდვრის პირობებში მრავალი საერთაშორისო კლასიკური და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. პათოგენის პოპულაციის მოლეკულური მარკერებით დახასიათება განხორციელდა აშშ-ის მინესოტას უნივერსიტეტის მარცვლოვანთა დაავადებების ლაბორატორიაში.

ხორბლის ღეროს ჟანგას გავრცელების და განვითარების ინტენსივობა დადგენილი იქნა საერთაშორისო სასელექციო ცენტრების მეთოდოლოგიის შესაბამისად (Yahyaoui et al.,2003). მონოეციო- და მონოურედინიალური იზოლატების მიღება, ინოკულუმის დაგროვება, ჯიშ-დიფერენციატორთა ინოკულაცია ხორციელდებოდა საერთაშორისო კლასიკური მეთოდების გამოყენებით (Roelfs et.al; 1992). აღმონაცენის და ზრდასრულ ფაზაში მცენარეების საპასუხო რეაქციის ტიპის და დაავადების განვითარების ინტენსივობის განსაზღვრისას ვხელმძღვანელობდით საერთაშორისო სკალებით (Stakman et al., 1962; Peterson et al.,1948). რასობრივი სტრუქტურის იდენტიფიკაციისას გამოყენებული იყო რასების ჩრდილოეთ ამერიკული ნომენკლატურის სისტემა (Jin et al., 2008). პათოგენის პოპულაციის მოლეკულური დახასიათების მიზნით გამოყენებული იქნა ერთ-ნუკლეოტიდური პოლიმორფიზმის (SNP) გენოტიპირების Infinium Assay მეთოდი და კომპანია „Illumina“ სტანდარტული პროტოკოლი (Illumina, San Diego, CA).

პოპულაციის გენეტიკური ცვალებადობის მაჩვენებლები გამოთვლილი იქნა სხვადასხვა მეთოდების საშუალებით (Айала, 1984; Животовский, 1982, Growth and Roelfs, 1987). პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნების კლასტერული ანალიზი ჩატარდა UPGMA მეთოდის და NTSYSpc 2.01, Systat 10 კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით (SPSS Ine., Chicago,IL; Applied Biostatistics Inc., UUS). ერთ-ნუკლეოტიდიანი პოლიმორფიზმების გენოტიპირების შედეგების სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა ნეის გენეტიკური დისტანციის ინდექსის საფუძველზე (Nei, 1978; Saitou and Nei, 1987) სპეციალური კომპიუტერული პროგრამის (version 3.12; R Core Team, 2014) "Poppr" პაკეტის გამოყენებით (Kamvar et al., 2014).

ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 158 გვერდს, შედგება: შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, კვლევის მეთოდების, კვლევის შედეგების, დასკვნების, რეკომენდაციების და გამოყენებული ლიტერატურისგან. ნაშრომში გაანალიზებულია 12 ქართული და 138 უცხოური წყარო.

კვლევის შედეგების აპრობაცია. 2013-2016 წლებში კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია 2 ადგილობრივ და 4 საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალში და სასტენდო მოხსენებების სახით წარმოდგენილი იყო თურქეთში, ინდოეთში, მექსიკასა და ავსტრალიაში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორკშოპებზე:

- საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - ,,ბორლაუგის ჟანგების გლობალური ინიციატივა'' (ობრეგონი, მექსიკა, 2014 წ.)
- საერთაშორისო კონფერენცია - ,,მცენარეთა სელექციის საერთაშორისო კონგრესი'' (ანტალია, თურქეთი, 2014 წ.)
- BGRI-ის 2013 წლის საერთაშორისო კონფერენცია და ვორკშოპი (ნიუ-დელი, ინდოეთი, 2013 წ.)
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ,,ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის'' (თბილისი, 2013 წ.)

თავი 1. კვლევის შედეგები და განხილვა

1.1 საქართველოში ხორბლის ღეროს ჟანგას გავრცელება 2012-2015 წლებში

ხორბლის ღეროს ჟანგას გავრცელების შესწავლის მიზნით, 2012-2015 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარდა 15 საველე ექსპედიცია, რომელიც მოიცავდა საქართველოს ხუთ გეოგრაფიულ ზონას (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, მესხეთი, ჯავახეთი) და 17 რაიონს (გორი, ქარელი, მცხეთა, დუშეთი, კასპი, ხაშური, ბორჯომი, მარნეული, გარდაბანი, დედოფლისწყარო, სიღნაღი, საგარეჯო, თელავი, ახალქალაქი, ახალციხე, ასპინძა და ადიგენი). ჟანგების გამოსავლენად განხორციელდა ფერმერული მეურნეობებისა და გზის პირებში არსებული კომერციული ნათესების და ჯიშთა გამოცდის სასელექციო ნაკვეთების ვიზუალური დათვალიერება. სულ გამოკვლეული იქნა 224 ხორბლის მინდორი. დიდი ზომის ფართობები (10-20 ჰა) ძირითადად დაკავებული იყო კომერციული ჯიშებით: ბეზოსტაია 1, კრასნოდარსკაია 99, ჯაგერი, ლომთაგორა 123. სასელექციო ნაკვეთებზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა წარმოშობის კომერციული და პერსპექტიული ჯიშები, დაწინაურებული და სელექციის საწყის ეტაპზე მყოფი ნიმუშები. მარცვლოვანთა ნაკვეთების დათვალიერების დროს დადგენილი იქნა ღეროს ჟანგას გავრცელების არეალი და განვითარების ინტენსიობა.

აღნიშნულ წლებში ხორბლის მინდვრების ღეროს ჟანგათი ინფიცირების საშუალო მაჩვენებლების მიხედვით ინფიცირებული მინდვრების რიცხვი მესხეთში მაღალი იყო (64.7%), ხოლო დანარჩენ გამოკვლეულ ზონაში: შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და ჯავახეთში საშუალო მაჩვენებელი აღინიშნა. მათ შორის, ყველაზე მეტი მინდორი დაავადდა შიდა ქართლში (35.2%). ამ ფაქტის ახსნა იმით შეიძლება, რომ ახალციხეში, ადიგენში, დუშეთში, ბორჯომის ხეობაში უხვადაა კოწახურის ბუჩქები, რაც ღეროს ჟანგას განვითარების წინაპირობას წარმოადგენს.

დაავადებული მინდვრების თითქმის თანაბარი რაოდენობა (25.4-26.7%) იქნა აღრიცხული ქვემო ქართლსა და ჯავახეთში. ინფიცირებული მინდვრების რიცხვი ყველაზე დაბალი (8.4%) იყო კახეთში, სადაც უფრო ხშირად გამოიყენებოდა ფუნგიციდები.

ცხრილი 1. ხორბლის ღეროს ჟანგას გავრცელება საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში 2012-2015 წლებში

ღეროს ჟანგათი ინფიცირებული ხორბლის მინდვრების რაოდენობა, %						სულ
წლები	გეოგრაფიული ზონა					
	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	კახეთი	მესხეთი	ჯავახეთი	
2012	57.1	33.3	7.1	85.7	50.0	45.6
2013	24.0	33.0	6.6	50.0	1.0	20.8
2014	31.3	16.7	20.0	42.9	16.7	23.2
2015	28.4	18.8	0.0	80.0	50.0	35.4
საშუალო	35.2	25.4	8.4	64.7	26.7	32.0

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის სავეგეტაციო პერიოდი არახელსაყრელი იყო როგორც ხორბლის, ისე ჟანგების განვითარებისათვის, სწორედ 2012 წელს დაფიქსირდა გამოკვლეული ხორბლის მინდვრების ღეროს ჟანგათი ინფიცირების ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი (45.6%), თუმცა დაავადების გავრცელების და განვითარების საშუალო ინტენსივობა დაბალი იყო (8.4% და 9.3%), განსაკუთრებით კი, კახეთში, ურწყავ ადგილებში (1%). 2012 წელს თითქმის ყველა გამოკვლეულ რაიონში მაღალი იყო ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურის საშუალო მაჩვენებელი, რომელიც მერყეობდა ზონების მიხედვით 20-26^{0}C ფარგლებში (http://meteo.gov.ge/hydrometeorology). აქედან გამომდინარე, ძალიან ცხელი, გვალვიანი ამინდის გამო, აპრილ-მაისის განმავლობაში ძალიან შეიზღუდა ყვითელი და მურა ჟანგას განვითარება, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ღეროს ჟანგას განვითარებას (Sikharulidze et.al.,2015b), რომელიც, როგორც წესი, უფრო გვიან გამოვლინდება. 2013 და 2014 წლებში თითქმის ერთნაირი და წინა წელთან შედარებით დაბალი იყო ღეროს ჟანგათი დაავადებული მინდვრების საშუალო რიცხვი - 20.8% და 23.2%, შესაბამისად. ასევე, ძალიან დაბალი იყო

დაავადების გავრცელების და განვითარების ინტენსივობის საშუალო მაჩვენებლები: შესაბამისად, 2.6% და 4.4% იყო 2013 წელს, 3.1% და 4.0% - 2014 წელს და 3.1 და 2.8 - 2015 წელს. 2013-2014 წლებში ხორბლის ღეროს ჟანგას გავრცელების დაბალი დონე გარდა ნაკლებად ხელსაყრელი კლიმატური პირობებისა შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ მარცვლოვანთა კომერციული ფართობების დიდი ნაწილი დამუშავებული იყო ფუნგიციდებით. დაავადების გავრცელების და განვითარების ყველაზე მაღალი საშუალო ინტენსივობა აღირიცხა მესხეთის ზონაში (30.4% და 35%) 2012 წელს, 12.5% და 14.4% - 2013 წელს, 6.5% და 7.1% - 2014 წელს და 3.8% და 3.0% - 2015 წელს (ცხრ. 2).

ცხრილი 2. ხორბლის ღეროს ჟანგას გავრცელების და განვითარების საშუალო ინტენსივობა, %

გეოგრაფიული ზონა	**2012 წელი**		**2013 წელი**		**2014 წელი**		**2015 წელი**		
	გავრცელება %	**განვითარება %**	**გავრცელება %**	**განვითარება %**	**გავრცელება %**	**განვითარება %**	**გავრცელება %**	**განვითარება %**	**საშუალო**
შიდა ქართლი	9.4	8.5	0.3	1.6	1.4	3.1	6.6	5.5	4.5
ქვემო ქართლი	0.5	0.8	0.3	5	0.2	0.7	0.5	0.5	0.4
კახეთი	1.3	1.4	0.1	1	2.9	3.8	0	0	1.1
მესხეთი	30.4	35.0	12.5	14.4	6.5	7.1	3.8	3.0	13.3
ჯავახეთი	0.5	1.0	0.2	0.4	4.2	5.5	4.8	5.1	2.4
საშუალო	**8.4**	**9.3**	**2.6**	**4.4**	**3.0**	**4.0**	**3.1**	**2.8**	

გამოკვლეული იქნა ხორბლის ღეროს ჟანგას შუამავალი მასპინძელი მცენარის, კოწახურის - *Barberry vulgaris* ველურად მოზარდი ნარგაობები ახალციხეში, ადიგენში, ბორჯომსა და დუშეთში. კოწახურის ბუჩქებზე აღნიშნული იქნა ღეროს ჟანგას ეციალური სტადიის განვითარების მაღალი ინტენსივობა: 60-100%.

ამრიგად, საქართველოში ღეროს ჟანგას სქესობრივი სტადია ვითარდება შუამავალ მასპინძელ მცენარეზე - კოწახურზე და ვეგეტატიური სტადია ვითარდება ხორბალზე. საშუალო მაჩვენებლების მიხედვით დაავადების გავრცელების და განვითარების დონე დაბალი იყო საქართველოში. ღეროს ჟანგასთვის დამახასითებელი გავრცელების ვერტიკალური ზონალობა ხელს უწყობს საწყისი ინფექციის ანუ ურედინიოსტადიის შენარჩუნებას და ხელსაყრელ პირობებში მის დაგროვებას.

თავი 1.2. ხორბლის ღეროს ჟანგას პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნების იდენტიფიკაცია

1.2.1. ურედინიოპოპულაციის რასობრივი და გენეტიკური სტრუქტურა

2012-2015 წლებში საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში, 14 რაიონში არსებული ხორბლის საწარმოო ნათესებიდან, ჯიშთა გამოცდის ნაკვეთებიდან და სელექციური სანერგეებიდან შეგროვებული იქნა 81 ურედინიო ნიმუში. ცალკეული ნიმუშიდან გამოყოფილი იქნა 3-5 მონოსპოროვანი იზოლატი, სულ - 350 იზოლატი.

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, სულ 2012-2015 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული *Puccinia graminis* პოპულაციაში იდენტიფიცირებული იქნა 41 რასა. მათგან სამი რასა PRCQP (14.5%), PKPTF (13.1%) და PRCTF (12.0%) შეადგენდა პოპულაციის ძირითად ნაწილს. შემდეგი ცხრა რასის: PKFTC, PRCQF, PCHTP, TKFTF, TKPTF, TTRTF, TKTTF, PKPTC, TKFTC შემცველობა პოპულაციაში 9.4-2.6%-ს შეადგენდა. დანარჩენი 29 რასა ძალიან დაბალი (0.3-2.9%) სიხშირით იყო გავრცელებული პოპულაციაში.

ცხრილი 3. ხორბლის ღეროს ჟანგას რასების სიხშირე *P.graminis* ურედინიოპოპულაციაში 2012-2015 წლებში

№	რასა	ვირულენტობის ფორმულა (ავირულენტური/ვირულენტური გენები)	იზოლატები	
			ცალი	%
1	PRCQP	*21,8a,36,30, 9b,10,11,Tmp, 31/ 5,9e,7b, 6, 9g, 17,9a,9d, 24,38,McN*	51	14.5
2	PKPTF	*21, 9b, 11, 24, 31,36, 38/5,9e,7b, 6,8a,9g, 30, 17, 9a,9d, 10, Tmp, McN*	46	13.1
3	PRCTF	*21,8a,36,9b,30,24,31/5,9e,7b,11,6, 9g, 17, 10, 9a, 9d, Tmp, 38,McN*	42	12.0
4	PKFTC	*11, 9b,24, 31, 36, 38/21,5,9e,7b,6, 8a, 9g, 30,17, 10, 9a, 9d, Tmp, McN*	33	9.4
5	PRCQF	*21,8a,36,9b,10,Tmp, 30,31/ 5,9e, 7b,11,6, 9g, 17,9a,9d, 38,McN*	21	6.0

6	PCHTP	*21,8a, 11,6, 36,30, 31/ 5,9e,7b, 9g, 9b, 17,9a,9d, 10, Tmp, 24,38,McN*	20	5.7
7	TKFTF	*11,24,31/5,21,9e,7b, 6, 8a,9g, 9b, 36,30,10,17,9a,9d, Tmp,38,McN*	19	5.4
8	TKPTF	*11,24,31/5,21,9e,7b, 6, 8a,9g, 9b, 36,30,10,17,9a,9d, Tmp,38,McN*	13	3.7
9	TTRTF	*30, 24,31/5,21,9e,7b,11,6,8a,9g,36,9b,17,9a,9d,10, Tmp, 38,McN*	13	3.7
10	TKTTF	*11, 9b,24, 31, 38 /5,21,7b, 9e,6,8a,9g,9b,30, 36, 17, 9a, 9d, 10,Tmp,38,McN*	10	2.9
11	PKPTC	*21, 11, 9b,24, 31, 38 /5,9e,7b,6, 8a, 9g, 10, 17, 9a,9d, 36, 30, Tmp,McN*	9	2.6
12	TKFTC	*11, 9b,24, 31, 36, 38/21,5,9e,7b,6, 8a, 9g, 30,17, 10, 9a, 9d, Tmp, McN*	9	2.6
13	PRCTC	*21,8a,36,9b,30,24,31,38/5,9e,7b,11,6, 9g, 17, 9a,9d, 10, Tmp,McN*	6	2.0
14	PTCTF	*21,36,9b,30,24,31/5,9e,7b,11,6, 8A,9g, 17,9a,9d, 10,Tmp, 38,McN*	5	1.4
15	TRTQF	*21,8a, 10,Tmp, 24, 31/5,9e,7b,21, 11, 6, 9g, 36,9b,30, 17,9a,9d, 38,McN*	5	1.4
16	TRCQP	*21,8a, 11,6, 36,30, 31/5,9e,7b, 9g, 9b, 17,9a,9d, 10, Tmp, 24,38,McN*	4	1.1
17	PHCTF	*21,11,8a,36,9b,30,24,31/5,9e,7b, 6, 9g, 17,9a,9d,10, Tmp, 38,McN*	4	1.1
18	PRCTP	*21, 8a, 36,9b, 31/5,9e,7b, 11,6, 9g, 30,17,9a,9d,10,Tmp, 24,38,McN*	3	0.9
19	PRMQF	*21,8a, 9b,10,Tmp24,30,31 /5,9e, 7b,11,6, 9g, 36,17,9a,9d, 38,McN*	3	0.9
20	PTCTM	*21,36,9b,30, 31/5,9e,7b,11,6, 8A,9g, 17,9a,9d,10,Tmp,38, 24,McN*	3	0.9

21	MRCQP	*21, 9e,9b, 8a, 30,36, 10,31 Tmp/5, 7b, 6, 11,9g, 17, 9a,9d, 24, 38,McN*	3	0.9
22	PKTTF	*21,11,8a,24,31/5,9e,7b,6,9a,9d,9g,10,Tmp,36,9b,30,17,38,McN*	3	0.9
23	PHHTF	*21,11,8a,36,30,24,31,38/5,9e,7b, 6, 9g, 9b , 17, 9a, 9d, 10, Tmp, 38, McN*	2	0.6
24	TRCQF	*8a,36,9b,10,Tmp, 30,31/21,5,9e, 7b,21, 11, 6, 9g, 17,9a,9d, 24, 38,McN*	2	0.6
25	PRTQF	*21, 8a,10,Tmp,24,31/5, 9e,7b, 11,6, 9g, 9b,36,30, 17,9a,9d, 38,McN*	2	0.6
26	MRKTF	*21, 9e,8a,24, 36, 31/5, 7b, 11,6, 9g, 9b, 30,17,9a,9d, 10, Tmp,38,McN*	2	0.6
27	PRTSF	*21,8a, Tmp,24,31/5,9e,7b,11, 6, 9g, 36,9b,30,17,10,9a,9d, 38,McN*	2	0.6
28	TKKTF	*11, 9b,24, 36,31/5,21,7b,9e, 6,8a,9g,9b,30,17,9a, 9d,10,Tmp, 38,McN*	2	0.6
29	PRCQM	*21,8a,36,30, 9b,10,11, Tmp, 31/ 5,9e,7b, 6, 9g, 17,9a,9d, 24,38,McN*	1	0.3
30	PCKTF	*21, 11, 6, 8a, 36,24, 31/5,9e,7b, 9g, 9b,10, 17, 9a,9d, 30, Tmp,38,McN*	1	0.3
31	MMKTF	*21, 9e,8a, 6, 24, 36, 31/5, 7b, 11, 9g, 9b, 30,17,9a,9d, 10, Tmp, 38,McN*	1	0.3
32	PRFQM	*21, 8a, 9e,11, 9b,10, 24, 30, 36, Tmp, 31/5, 7b, 6,9g, 17, 9a,9d, 38,McN*	1	0.3
33	PKFTP	*21, 11, 9b, 31 ,36 /5,9e,7b,6, 8a, 9g, 10, 17, 9a,9d, 30, Tmp, 24, 38 ,McN*	1	0.3
34	PRFRF	*21, 8a, 9e,11, 9b,10, 24, 30, 36, Tmp, 31/5,9e,7b,11,6, 9g,30, 17,9a,9d,Tmp,38,McN*	1	0.3
35	PHFTP	*21, 8a, 11, 9b,10, 36, Tmp, 31/5,9e,7b,6,9g, 30,17,9a,9d,10,Tmp,24,38,McN*	1	0.3
36	PMCQF	*21,11,8a, 36, 30, 9b,10,Tmp, 24,31/5,9e,7b, 6, 9g, 17, 9a, 9d,*	1	0.3

		38, McN		
37	PRCTM	*21,36,9b,30, 38,31/5,9e,7b,11,6, 9g, 17,9a,9d,10,Tmp, 24, McN*	1	0.3
38	PCPSF	*21, 11,6, 9b, 8a, , 24, Tmp, 31 /5, 9e, 7b, 9g, 36,30,17,9a, 9d, 10, 38, McN*	1	0.3
39	TRDSC	*36,9b,30, Tmp,24, 38,31/5,21,9e, 7b,11,6,9g,30,9a,9d, 10, McN*	1	0.3
40	NCCTM	*21, 7b, 11,6, 8a, 36,30, 9b/5, 9e, 9g,17, 9a,9d, 10, Tmp, 24, 38,*	1	0.3
41	TRTTF	*11, 9b,24, 31 /5,21,7b, 9e,6,8a,9g,9b,30, 36, 17, 9a, 9d, 10,Tmp,38,McN*	1	0.3
სულ 41 რასა			350	

2012-2015 წლების კვლევის შედეგების ანალიზით გამოვლინდა 12 გამძლეობის გენის (*Sr5, Sr6, Sr7b, Sr9a, Sr9d, Sr9e, Sr9g, Sr10, Sr17, Sr38, Sr Tmp, Sr McN*) მიმართ ვირულენტური იზოლატების ძალიან მაღალი - 75.7-100% რიცხვი. ასევე მაღალი იყო *Sr36* (40,3%), *Sr8a*(45.7%), *Sr30*(49.7%) და *Sr11*(52.3%) გამძლეობის გენებისადმი ვირულენტური იზოლატების კონცენტრაცია პოპულაციაში. გაანალიზებული იზოლატების 28.3% ვირულენტური იყო *Sr9b*-დმი, 26.9% - *Sr24* და 22.1% - *Sr21* გამძლეობის გენისადმი (ცხრ.4). კვლევის მანძილზე არ დაფიქსირებულა მხოლოდ Sr31-დმი ვირულენტობა.

ცხრილი 4. ვირულენტობის იზოლატების სიხშირე *P.graminis* ურედინიოპოპულაციაში 2012-2015 წლებში

გამძლეობის გენები	გაანალიზებული იზოლატების რაოდენობა	
	ცალი	%
Sr 5	350	100.0
Sr 6	324	92.6
Sr 7b	348	99.4
Sr 8a	160	45.7
Sr 9a	348	99.4

Sr 9b	99	28.3
Sr 9e	330	94.3
Sr 9d	348	99.4
Sr 9g	350	100.0
Sr 10	270	77.1
Sr 11	187	52.3
Sr 17	350	100.0
Sr 21	77	22.0
Sr 24	94	26.9
Sr 30	174	49.7
Sr 31	0	0
Sr 36	141	40.3
Sr 38	296	84.6
Sr TmP	265	75.7
Sr McN	350	100.0

ხორბლის ღეროს ჟანგას ურედინიოპოპულაციის ვირულენტური, რასობრივი და პათოტიპური სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზის, მიხედვით 2012-2015 წლებში პოპულაციაში მაღალი პოლიმორფობის პირობებში იდენტიფიცირებული იყო საშუალოდ 14 ვირულენტობის გენი (Fv-13.9) და 31 რასა (μ-31.2±0.9). იშვიათი რასების წილი (h-0.24±0.02) პოპულაციის 26.3% შეადგენდა, პოპულაციის მრავალფეროვნების დონე დაბალია (გლისონის ინდექსის - H_G= 0.11).

გამოკვლევის წლების მიხედვით ვირულენტობის გენების უმრავლესობის შეხვედრის სიხშირე გამოკვლევის წლების მიხედვით არსებითად არ შეცვლილა. გამონაკლისს წარმოადგენდა ზოგიერთი ვირულენტობის გენი. კერძოდ, 2015 წლისთვის *Sr9b* გამძლეობის გენისადმი ვირულენტური იზოლატების სიხშირე გაიზარდა 13.5%-დან

75.6%-მდე, *Sr21* გენისადმი ვირულენტური იზოლატების სიხშირე გაიზარდა 10.4%-დან 51.4%-მდე. ასევე, გაიზარდა *Sr8a* (12.5-78.4%) და *Sr36*(10-50%) გენებისადმი ვირულენტობაც. ხოლო *Sr24* და *Sr11* გენებისადმი ვირულენტობა შემცირდა, შესაბამისად, 40.5%-დან 13.5%-მდე და 85%-დან 17.6%-მდე (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. ცვლადი სიხშირის ვირულენტობის გენების დინამიკა წლების მიხედვით



ოთხწლიანი კვლევის განმავლობაში პათოგენის პოპულაციაში იდენტიფიცირებული რასობრივი სტრუქტურის ერთმანეთთან შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ 2012 და 2014 წლებში ღეროს ჟანგას პოპულაციაში დომინირებული რასები PRCTF და PKPTF უფრო მაღალი სიხშირით (35% და 27%) იყო წარმოდგენილი, ვიდრე 2013 და 2015 წლებში იდენტიფიცირებული დომინანტი რასები: PRCQP(21%) და TTRTF(16%). ყოველ წელს თითქმის თანაბრად და შედარებით მაღალი სიხშირით იყო გავრცელებული რასა - PRCQP. ყველაზე მაღალი ინტენსივობით კი იგი გავრცელებული იყო 2013 წელს. როგორც დიაგრამა 2-დან ჩანს, 2015 წლისთვის PRCTF, PRCQP და PCHTP რასების სიხშირე შემცირდა, ხოლო რასა TKFTF-ის რაოდენობა გაიზარდა. 2015 წლის პოპულაციაში პრევალირებდა მანამდე იშვიათი რასები TTRTF და TKFTF, რაც შეიძლება აიხსნას

აღნიშნული რასების ეკოლოგიური თავისებურებებით და პოპულაციაზე მოქმედი ბუნებრივი გადარჩევის სხვადასხვა ფაქტორებით.

დიაგრამა 2. რასების დინამიკა წლების მიხედვით



ვირულენტობის ფაქტორის - Fv მაჩვენებლების თანახმად (ცხრ.5) ღეროს ჟანგას პოპულაცია ერთანაირად მაღალვირულენტური აღმოჩნდა 2014 (Fv=14.6) და 2015 წლებში (Fv=14.9). ყველაზე მაღალი პოლიმორფობა P=0.7 და შესაბამისად, ყველაზე მაღალი გენეტიკური მრავალფეროვნება (H_G=0.26; μ=20.2±1.4) აღირიცხა 2013 წელს. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის პოპულაცია უფრო მაღალი მრავალფეროვნების დონით გამოირჩევა, ვიდრე 2012 (H_G=0.19; μ=14.7±0.8) და 2014 წლის (H_G=0.21; μ=13.5±0.8) პოპულაცია, იშვიათი რასების წილი (h=0.25-0.27) სამივე წელს თითქმის ერთნაირი იყო.

ცხრილი 5. ხორბლის ღეროს ჟანგას ურედინიოპოპულაციის ცვალებადობის მაჩვენებლები

გამოკვლევის წლები	პოპულაციის ცვალებადობის ხარისხის მაჩვენებლები				
	Fv	P	μ	h	H_G
2012	12.7	0.6	14.7±0.8	0.27±0.05	0.19
2013	13.4	0.7	20.2±1.4	0.25±0.14	0.26
2014	14.6	0.5	13.5±0.8	0.25±0.05	0.21
2015	14.9	0.6	12.5±0.5	0.11±0.04	0.18

სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში გავრცელებული პოპულაციების ვირულენტური და რასობრივი სტრუქტურის შედარებისას აღმოჩნდა, რომ *Sr5, Sr6, Sr7b, Sr8a, Sr9a, Sr9d, Sr9e, Sr9g, Sr10, Sr11, Sr17, Sr30, Sr36, Sr38, SrTmP, SrMcN* გამძლეონის გენებისადმი ვირულენტური იზოლატები მაღალი სიხშირით იყო წარმოდგენილი ყველა ზონაში. *Sr21* გამძლეობის გენისადმი ვირულენტობა მხოლოდ ქვემო ქართლსა და კახეთში არ იქნა იდენტიფიცირებული, დანარჩენ ზონებში ის საშუალო სიხშირით იყო გავრცელებული. ყველა ზონაში მაღალი ეფექტურობით გამოირჩეოდა გამძლეობის გენი *Sr9b*(13.2-24.7%), რომლისადმი ვირულენტური იზოლატები არ აღრიცხულა მხოლოდ ქვემო ქართლის პოპულაციაში. ასევე, არც ერთ ზონაში არ იქნა იდენტიფიცირებული *Sr31* გამძლეობის გენისადმი ვირულენტური იზოლატები. მაღალი ვირულენტობის დონით გამოირჩეოდა მესხეთის და ჯავახეთის ზონა (ცხრ 6).

ცხრილი 6. ვირულენტური იზოლატების სიხშირე გეოგრაფიული ზონების მიხედვით

გამძლეობის გენები	ვირულენტური იზოლატების შეხვედრის სიხშირე, %				
	გეოგრაფიული ზონები				
	მესხეთი	ჯავახეთი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	კახეთი
Sr 5	100	100	100	100	100

Sr 6	100	100	82.3	89.5	78.9
Sr 7b	100	100	94.7	100	100
Sr 8a	40.4	95.9	22.0	89.5	78.9
Sr 9a	100	100	100	100	100
Sr 9b	18.1	14.4	24.7	0	13.2
Sr 9e	97.9	100	94.7	100	100
Sr 9d	100	100	100	100	100
Sr 9g	100	100	100	100	100
Sr 10	65.9	95.9	60.0	100	100
Sr 11	53.2	8.2	66.0	10.5	21.1
Sr 17	100	100	100.0	100	97.3
Sr 21	22.3	46.9	17.3	0	0
Sr 24	24.5	6.1	41.3	0	0
Sr 30	38.3	91.8	21.3	89.5	84.2
Sr 31	0	0	0	0	0
Sr 36	20.2	48.9	22.7	68.4	52.6
Sr 38	94.5	51.0	97.3	42.1	63,2
Sr TmP	65.9	95.9	59.3	100	71.1
Sr McN	100	100	100	100	100

როგორც დიაგრამა 3-დან ჩანს, ყველა ზონაში გავრცელებული იყო რასა PKPTF, ამასთან, იგი ქვემო ქართლსა და კახეთში მეორე ადგილზე იყო გავრცელების სიხშირით. რასა PRCQP დომინირებს მესხეთსა და შიდა ქართლში, ჯავახეთში მისი სიხშირე დაბალია (4%) და დანარჩენ ზონაში კი, იგი საერთოდ არ გამოვლენილა. რასა PRCTF თითქმის ერთნაირი სიხშირით (12-16%) იყო გავრცელებული ყველა ზონაში ჯავახეთის გარდა, სადაც ის არ იქნა აღრიცხული. რასა PKPTC მხოლოდ ორ ზონაში იქნა ნაპოვნი:

ქვემო ქართლში მას გაბატონებული ადგილი ეჭირა (37%), ხოლო მესხეთში ძალიან დაბალი სიხშირით იყო გავრცელებული.

დიაგრამა 3. დომინირებული რასების გავრცელება გეოგრაფიული ზონების მიხედვით



ცალკეულ გეოგრაფიულ ზონაში (მესხეთი, ჯავახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი) გავრცელებული ღეროს ჟანგას პოპულაციის ვირულენტობის და ცვალებადობის დონის დადგენის მიზნით გამოთვლილი ძირითადი მაჩვენებლების (Fv - ვირულენტობის ფაქტორი, P - პოლიმორფობა, μ - რასების ანუ პათოტიპთა საშუალო რიცხვი, პოპულაციის მრავალფეროვნების კოეფიციენტი, იშვიათი რასების ან პათოტიპების რიცხვი, h - იშვიათი რასების რიცხვი) მიხედვით, შედარებით მაღალი ვირულენტობით გამოირჩეოდა ჯავახეთის პოპულაცია, რომელშიც საშუალოდ 14 ვირულენტობის გენი აღირიცხა. ყველაზე მაღალი გენეტიკური მრავალფეროვნების კოეფიციენტი და პოპულაციაში იდენტიფიცირებული რასების საშუალო რიცხვი გამოვლინდა შიდა ქართლისა (18.5±1) და მესხეთის (15.1±0.8) პოპულაციაში. პათოტიპების ყველაზე უფრო დაბალი მრავალფეროვნება დაფიქსირდა კახეთსა (H_G -0.11; μ -4.0±0.3) და ქვემო ქართლის პოპულაციაში (H_G - 0.16; μ - 3.2±0.3) (ცხრ.7).

ცხრილი 7. ხორბლის ღეროს ჟანგას ურედინიოპოპულაციის ცვალებადობის მაჩვენებლები გეოგრაფიული ზონების მიხედვით

გეოგრაფიული ზონა	ურედინიოპოპულაციის ცვალებადობის მაჩვენებლები				
	Fv	P	μ	h	H_G
მესხეთი	13.5	0.6	15.1±0.8	0.8±0.04	0.19
ჯავახეთი	14.6	0.5	6.3±0.7	0.4±0.06	0.18
შიდა ქართლი	13.0	0.7	18.5±1	0.5±0.04	0.19
ქვემო ქართლი	13.8	0.3	3.2±0.3	0.2±0.09	0.16
კახეთი	13.6	0.4	4.0±0.3	0.2±0.06	0.11

სხვადასხვა გეოგრაფიული ზონის პოპულაციებს შორის რასობრივი ანუ პათოტიპური მსგავსების დასადგენად გამოთვლილი იქნა ჯაკარდის მსგავსების კოეფიციენტი, რომლის საფუძველზე შეიქმნა სხვადასხვა გეოგრაფიული ზონის პოპულაციებს შორის მსგავსების მატრიცა და აგებული იქნა დენდროგრამა (სურ.1).

სურათი 1. ღეროს ჟანგას გეოგრაფიულ პოპულაციებს შორის მსგავსების დენდროგრამა



დენდროგრამიდან ჩანს, რომ რასობრივი შემადგენლობის მიხედვით უფრო მეტი მსგავსება იყო კახეთისა და ქვემო ქართლის (0.50) პოპულაციებს შორის. ასევე, შედარებით მსგავსია შიდა ქართლის და მესხეთის (0.40) პოპულაციები. განცალკევებულ შტოს ქმნის ჯავახეთის პოპულაცია, რომელიც ოდნავ დაშორებულია დანარჩენი პოპულაციებისაგან. გამონაკლისს წარმოადგენს მესხეთის პოპულაცია, რომელთანაც უფრო მეტი საერთო აქვს ჯავახეთის პოპულაციას. ასევე, ძალიან განსხვავებული აღმოჩნდა კახეთის პოპულაცია შიდა ქართლის და მესხეთის პოპულაციებისგან.

ამრიგად, 2012-2015 წლებში საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში გავრცელებული ხორბლის ღეროს ჟანგას გამომწვევის *P.graminis* ურედინიოპოპულაცია მაღალი ვირულენტობით ხასიათდებოდა. შესწავლილი 20 გამძლეობის გენიდან მასში აღრიცხული იქნა 19 გამძლეობის გენისამდი ვირულენტობა. ღეროს ჟანგას ქართულ პოპულაციაში არ იქნა იდენტიფიცირებული *Sr31* გამძლეობის გენის შემცველი იზოგენური ხაზი *Sr31/6*LMPG*-დმი ვირულენტობა. ეს უკანასკნელი 1999 წელს იქნა პირველად აღრიცხული უგანდაში (Pretorius et.al, 2000) და მომდევნო წლებში მეზობელ ქვეყნებშიც გავრცელდა. BGRI მონაცემების თანახმად Ug99 რასის მოძრაობის ტრაექტორიის გათვალისწინებით საქართველო მაღალი რისკის ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება (Anonymous, 2008). ამჟამად მსოფლიოში გავრცელებული Ug99 რასის 12 ვარიანტიდან არც ერთი არ იქნა იდენტიფიცირებული ღეროს ჟანგას ქართულ პოპულაციაში.

1.2.2. ეციოპოპულაციის რასობრივი და გენეტიკური სტრუქტურა

2013-2014 წლებში გამოკვლეული იქნა საქართველოს სხვადასხვა ზონაში გავრცელებული კოწახურის ველური ნარგაობა შევაგროვეთ ეციო ნიმუშები - დუშეთში, ახალციხესა და ბორჯომში შეგროვებული ნიმუშებიდან გამოყოფილია 48 იზოლატი, მათგან, დუშეთის პოპულაციიდან - 16 იზოლატი, ახალციხის პოპულაციიდან - 24 და ბორჯომიდან - 8 იზოლატი. ეციოპოპულაციაში იდენტიფიცირებული იქნა 21 რასა

(ცხრ.39) ყველაზე მეტი სიხშირით გავრცელებული იყო PRCQP და PKPTF (12.5%) რასები, მას მოჰყვებოდა რასები TTRTF, TTKTF, PCHTP, ხოლო რასების დიდი ნაწილი (11 რასა) ერთეული იზოლატით იყო წარმოდგენილი.

1964-1966 წლებში ჩატარებული პირველი კვლევის ფარგლებში დადგენილი იქნა საქართველოში გავრცელებული ხორბლის ღეროს ჟანგას შუამავალი მასპინძელი მცენარის -კოწახურის მნიშვნელობა ღეროს ჟანგას პოპულაციის ჩამოყალიბებაში (Цикаридзе, 1970). ხოლო უფრო მოგვიანებით დანიელ კოლეგებთან საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად ეს ფაქტი დადასტურებული იქნა მოლეკულური მარკერებით ეციო- და ურედინიოპოპულაციის შესწავლის გზით (Justesen et.al.,2013).

ეციოიზოლატების გენეტიკური სტრუქტურის გაანალიზების შედეგად აღმოჩნდა, რომ ეციოპოპულაცია მაღალვირულენტურია და შეიცავს 19 გამძლეობის გენისადმი (*Sr5, Sr6, Sr7b, Sr8a, Sr9a, Sr9b, Sr9e, Sr9d, Sr9g, Sr10, Sr11, Sr17, Sr21, Sr24, Sr30, Sr36, Sr38, Sr Tmp, Sr McN*) ვირულენტურ იზოლატებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხორბლის ღეროს ჟანგას ეციოპოპულაციაში *Sr31* გამძლეობის გენისადმი ვირულენტური პათოტიპი არ დაფიქსირებულა.

როგორც წესი, ეციოპოპულაცია გამოირჩევა მაღალი მრავალფეროვნებით, რაც წარმოდგენილი კვლევის შემთხვევაშიც დადასტურდა. სტატისტიკური ანალიზის თანახმად, 2013-2014 წლების ეციოპოპულაციის მრავალფეროვნების მაჩვენებელი, გლისონის ინდექსი (H_G= 0.41) და რასების ანუ პათოტიპების საშუალო რიცხვი (μ=17.1±1.2) უფრო მაღალია, ვიდრე ურედინიოპოპულაციის, იშვიათი რასების წილიც მაღალია - h=0.19±0.05.

თავი 1.3. ხორბლის ღეროს ჟანგას გამომწვევის *Puccinia graminis f.sp. tritici* ურედინიოპოპულაციის მრავალფეროვნების შესწავლა მოლეკულური მარკერებით

კვლევის კლასიკური მეთოდის გარდა, ჩვენ მიერ გამოყენებული იქნა მოლეკულური ბიოლოგიის თანამედროვე პოლიმერაზა ჯაჭვური რეაქციის მეთოდი- ერთნუკლეოტიდური პოლიმორფიზმის (SNP) გენოტიპირება, რომელმაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა ხორბლის ღეროს ჟანგას გამომწვევი სოკოვანი მიკროორგანიზმის მოლეკულური პოლიმორფიზმი. ღეროს ჟანგას ქართული პოპულაციის SNP-ის ანალიზი ჩატარდა მინესოტას უნივერსიტეტის მარცვლოვანთა დაავადებების ლაბორატორიაში (აშშ) მათ მიერ დაფინანსებული სტაჟირების ფარგლებში.

სულ 102 მონოურედინიალური იზოლატი იქნა გენოტიპირებული PgtSNP 3.0kChip - ჩიპის გამოყენებით. მათ შორის, 44 იზოლატი იყო 2013 წლის კოლექციიდან, 28 იზოლატი - 2014 წლის კოლექციიდან, ხოლო 30 - 2015 წლის კოლექციიდან. მათი დიდი უმრავლესობა (20 იზოლატი) წარმოადგენდა TKFTF რასას, 18 - PKPTF რასას, 16 - TTRTF რასას, 12 იზოლატი - PRCQP რასას, 5 იზოლატი - PTCTF რასას. 3-3 იზოლატით იყო წარმოდგენილი რასები: PKPTC, PRCTC, PRCTM, 2 იზოლატით - MMKTF, MRCQF, MRCQP, PHHTC, PMCQF რასები და 1 იზოლატით - NCCTM, PFHTP, PRCQF, PRCQM, PRFQM, PRFTF, PTCTM, TRTQF, TRDSC რასები. თითოეული იზოლატიდან გამოყოფილი და გაფილტრული დნმ-ის 2825 ლოკუსი იქნა გაანალიზებული.

SNP ცვლილებების საშუალი რიცხვი 2.3-282.5 ფარგლებში იყო. PgtSNP 3.0kChip ჩიპზე აღრიცხული SNP ცვლილებების საფუძველზე გამოთვლილი იქნა გენეტიკური დისტანციის მაჩვენებელი - Nei-ის ინდექსი, როგორც კლადების შიგნით, ისე კლადებს შორის. მიღებული მონაცემების საფუძველზე აგებული იქნა NJ ფილოგენეტიკური ხე (სურ.2), სადაც საკვლევმა იზოლატებმა სხვადასხვა კლასტერები შექმნა და ისინი უმნიშვნელოდ იყვნენ ერთმანეთისგან დაცილებული. კლასტერები კლადების სახით გაერთიანდა. კერძოდ, 78 იზოლატი 2 ძირითად ჯგუფში გაერთიანდა: 1. ე.წ. ,,ახალი ჯგუფი“ (New group) 2. III და IV კლადი (ბუტსტრაპის ინდექსი - 75-100%). კლადების

შიგნით იზოლატებს შორის გენეტიკური დისტანცია იყო ძალიან უმნიშვნელო: 0.000-0.002, ხოლო კლადების იზოლატებს შორის გენეტიკური დისტანცია მერყეობდა 0.091-0.144; ფარგლებში. III კლადის იზოლატებში ცვლილება არ დაფიქსირებულა. ძალიან უმნიშვნელო ცვლილება იქნა ნაპოვნი და IV-A და IV-B კლადების იზოლატებს შორისაც (0.000-0.002.). III კლადისა და IV-A - IV-B კლადების იზოლატებს შორისაც გენეტიკური დისტანციის მაჩვენებელი მერყეობს 0.140-0.144 ფარგლებში, რაც შედარებით უფრო მეტ განსხვავებაზე მიუთითებს, ვიდრე ეს არის IV კლადის ქვეკლადებში IV-A - IV-B შემავალ იზოლატებს შორის -0.091-0.094.

სურათი 2. *Puccinia graminis f. sp. tritici* იზოლატების SNP ლოკუსების ფილოგენეტიკური ანალიზი.



მიღებული შედეგების მიხედვით ,,ახალი ჯგუფის" იზოლატები მეტი გენეტიკური და ფენოტიპური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, ვიდრე III და IV კლადში გაერთიანებული 28 იზოლატი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი ,,ახალი ჯგუფის" შიგნით

რამდენიმე ქვეჯგუფში აღმოჩნდენენ. ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი იყო ქვეჯგუფი NG04, რომელიც 2 რასის (PRCQP, MRCQP) 12 იზოლატით იყო წარმოდგენილი, ქვეჯგუფი NG09 შეიცავდა 2 რასის (PRCTC, PRCTM) 5 იზოლატს, ქვეჯგუფი NG10 – 3 რასის (PRFQM, PRCQF PRCQM) 4 იზოლატს, ქვეჯგუფი NG12- PTCTF რასის 4 იზოლატს, ქვეჯგუფი NG01 შეიცავდა სამი რასით (MMKTF, PRCTF PRCTC) წარმოდგენილ 3 იზოლატს, ქვეჯგუფი NG06 შეიცავდა 2 იზოლატს: 13GEO28-1 და 13GEO28-3 ორი განსხვავებული რასით: PFHTP, NCCTM. PHHTC რასით წარმოდგენილი 2 იზოლატი მოხვდა ქვეჯგუფ NG01-ში, ასევე, ერთი უნიკალური რასის (TRDSC) მომცემი 2 იზოლატი: 14GEO182-1 და 14GEO182-3 NG11-ქვეჯგუფში გაერთიანდა და თითო იზოლატით იყო წარმოდგენილი ქვეჯგუფები: NG03 (13GEO24-1, რასა PMCQF), NG05 (13GEO15-1, რასა MMKTF) და NG08 (13GEO06-3, რასა TRTQF).

ხორბლის ღეროს ჟანგას „ქართული“ პოპულაციის მოლეკულური პოლიმორფიზმის მაჩვენებელი 0.110-0.141 ფარგლებში მერყეობდა.

საკვლევი ნიმუშების ფილოგენეტიკური ანალიზის შედეგების თანახმად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ღეროს ჟანგას ერთიანი პოპულაცია არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მოლეკულური მარკერებით პოპულაციის მრავალფეროვნების კვლევისას უმნიშვნელო დისტანციით გამოიყო პოპულაციის ორი ნაწილი: „ახალ ჯგუფში“ და III და IV კლადში გაერთიანებული იზოლატები. ამასთან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ღეროს ჟანგას პოპულაციაში გამოყოფილ „ახალ ჯგუფში“ გაერთიანებული იზოლატებისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება და ზოგადად პათოგენის პოპულაციის პოლიმორფიზმის გარკვეული ხარისხი სწორედ სქესობრივი ჰიბრიდიზაციის შედეგია, ხოლო III და IV კლადში გაერთიანებული პოპულაციის მეორე ნაწილი კი, ძირითადად, ვეგეტატიური გზით მიღებული იზოლატებით იყო წარმოდგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ III კლადში გაერთიანებული იზოლატები, რომლებიც გამოყოფილი იყო სამი სხვადასხვა გეოგრაფიული ზონიდან და ხორბლის ოთხი ჯიშიდან, ერთი და იგივე კლადში გაერთიანდნენ და მხოლოდ ერთი რასა (TTRTF) წარმოქმნეს. 2014-2015 წლებში ხუთი ზონიდან გამოყოფილი იზოლატების 57%, რომლებიც შვიდი რასით იყო წარმოდგენილი, IV კლადის ერთი და იგივე ქვეკლადში დაჯგუფდა. ეს შედეგები კი

ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მასპინძელი-მცენარის ჯიში და გეოგრაფიული ზონა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პათოგენის ქართულ პოპულაციაზე ზემოქმედების ძირითადი ფაქტორი და შესაბამისად, გენეტიკური ცვლილებების მნიშვნელოვანი წყარო. ვფქრობთ, რომ ღეროს ჟანგას ქართულ პოპულაციაში არსებული მრავალფეროვნება განპირობებულია საქართველოში კოწახურის, ხორბლის ღეროს ჟანგას შუამავალი მასპინძელი - მცენარის არსებობით და მათზე მიმდინარე სქესობრივი ჰიბრიდიზაციის შედეგად.

SNP ტექნოლოგიის გამოყენებით ჩატარებული კვლევა უზრუნველყოფს კლადებს შორის ურთიერთკავშირის გაგებას. ფილოგენეტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ TKTTF რასის იზოლატებმა შექმნეს უნიკალური კლადი, რომელიც ძალიან განსხვავდება დანარჩენი კლადებისაგან. შესაძლოა ეს ახალი რასები სხვა რეგიონებიდან არის შემოსული ან ადრეც იყო პოპულაციაში ძალიან დაბალი სიხშირით და აქამდე არ იქნა აღმოჩენილი. ამერიკელი კოლეგების დახმარებით შესაძლებელი იქნა საქართველოში გავრცელებული პოპულაციის შედარება ეთიოპიის, იემენის და კენიის Ug99 რასის რეფერენს იზოლატებთან. როგორც ფილოგენეტიკურმა ანლიზმა აჩვენა (სურ.2), კენიური წარმოშობის 3 იზოლატი (04KEN154-04, 07KEN24-4, 06KEN19V-3) გაერთიანდა I კლადში, ხოლო 3 იემენური იზოლატი (14YEM115-1, 14YEM49-5, 14YEM123-1) აღმოჩნდა II კლადში და ისინი ძალიან განსხვავდებიან ქართული იზოლატებისაგან (Nei ინდექსი 0.4). რაც შეეხება ეთიოპურ იზოლატებს, მათ უფრო მეტი საერთო აღმოაჩნდათ ქართულ იზოლატებთან (Nei ინდექსი 0.001). კერძოდ, IV კლადში აღმოჩნდა ექვსი ეთიოპიური იზოლატი: 13ETH120-1, 14ETH132-2, 14ETH128-1, 14ETH02-2, 13ETH18-1, 14ETH128-1. ქართული იზოლატების (14GEO190-2, 14GEO192-2, 14GEO196) გვერდით (სარწმუნოების ბუტსტრაპ ინდექსით 82.5). III კლადის III-B ქვეკლადში გაერთიანდა თერთმეტი ქართული იზოლატი (ბუტსტრაპ ინდექსი 88.24-99.24), III-A ქვეკლადში ორი ეთიოპიური (14ETH136-3, 14ETH123-1) და ერთი იემენური (06YEM34-1) იზოლატი, მაგრამ ისინი აღმოჩნდნენ სხვადასხვა ქვეჯგუფში. ქართულ და ეთიოპიურ პოპულაციაში დაფიქსირდა ერთი და იგივე (TTRTF, TKTTF) რასები, რომლებიც მანამდე არ იყო აღრიცხული

საქართველოში, თუმცა ბოლო წლებში გავრცელდა ეგვიპტესა და თურქეთში (Mert et.al, 2012). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ, რომ აღნიშნული რასები საქართველოს ტერიტორიაზე ქარის ნაკადების საშუალებით ჟანგას სპორების მიგრაციის შედეგად გავრცელდა, თუმცა დღეისათვის მათი სიხშირე ხორბლის ღეროს ჟანგას ქართულ პოპულაციაში უმნიშვნელოა.

ამგვარად, SNP მარკერების გამოყენებით 2013-2015 წლის განმავლობაში საქართველოში გავრცელებული ხორბლის ღეროს ჟანგას პოპულაციის პოლიმორფიზმის დონე დაბალია (მრავალფეროვნების მაჩვენებელი 0.14) და მოლეკულური პოლიმორფიზმის ხარისხი სრულ შესაბამისობაშია ვირულენტობის ნიშნით გაანალიზებულ პოლიმოფიზმთან. მოლეკულური მარკერებით პოპულაციის დახასიათებისას უფრო მეტად დაზუსტდა პოპულაციაში წარმოქმნილი ცვლილებების წყარო და განსხვავებების ხარისხი გეოგრაფიულ პოპულაციებს შორის. თუმცა, საქართველოში გავრცელებული ხორბლის ღეროს ჟანგაზე მოქმედი სხვა ფაქტორების სიღრმისეული შესწავლა, მასპინძელ-მცენარესა და პათოგენს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების რიგი ასპექტების დადგენა და ე.წ. „ახალი ჯგუფის“ იზოლატების მოლეკულური მარკერებით შესწავლა მომავალი კვლევებისა და ამერიკელ კოლეგებთან თანამშრომლობის გაგრძელების მნიშვნელოვანი ობიექტია.

თავი 1.4. ღეროს ჟანგასადმი ხორბლის გამძლე გენოტიპების სკრინინგი

1.4.1 ადგილობრივი სასელექციო მასალის ღეროს ჟანგასადმი გამძლეობის დონის შეფასება

აგრარული უნივერსიტეტის ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტის სელექციონერების მიერ მოწოდებული სასელექციო მასალა (50 ნიმუში) გამოვცადეთ ხელოვნურ ინფექციურ ფონზე, როგორც ხორბლის ღეროს ჟანგას პოპულაციის რასების ნარევის მიმართ სათბურში, აღმონაცენის ფაზაში და მინდვრის პირობებში ზრდასრულ ფაზაში. გამოსაცდელი მასალა წარმოდგენილი იყო საკონტროლო ჯიშით - ბეზოსტაია 1, ხორბლის 12 სახეობითა და ქვესახეობით, 9 ადგილობრივი ჯიშით, 7 ინტროდუცირებული

პერსპექტიული ჯიშით და სხვადასხვა საერთაშორისო სანერგეებიდან ბოლო 5 წლის განმავლობაში გამორჩეული 21 ნიმუშით.

ჩატარებული ცდის შედეგად გამოვლენილი იქნა პათოგენის პოპულაციის მიმართ ეფექტური გამძლეობის წყაროები აღმონაცენის და ზრდასრულ ფაზაში. კერძოდ, ტესტირებული ნიმუშების 40% გამძლე იყო ღეროს ჟანგას მიმართ. სახეობები: *Tr.monoccoccum (Var.laetissimum Korn), Tr.tomopheevi (ar.tipicum Shuk-var.viticulosum Shuk), Tr.georgicum (Var.chvamlicum Supat, Tr. Dicoccum (Var.farrum), Tr.ibericum Men(Var.fuliginosum Shuk), Tr.ibericum Men (Var.stramineum zhuk), Tr. Macha Dek et Men ((Var.megrelicum Men), Tr. Spelta Dek et Men (Var.dekaprelevichi Dorof),* ჯიშები - ხულუგო, ლომთაგორა 155, საული 9, ლომთაგორა 123 გამძლე (R) და საშუალოდ გამძლე (MR) იყო. საშემოდგომო ხორბლის საერთაშორისო სანერგედანაც გამოირჩა რამდენიმე გამძლე ნიმუში: (BTZ-18FAWWON-IRR-149, 18FAWWON-SA-49, Sunco/pastor-19FAWWON, SRMA/tui//babax/ 3JGR-11LR-Res-132), ხოლო ჯიშებმა: ლომთაგორა 107(60 MR-MS), ლომთაგორა 109(40MR-MS), ლომთაგორა 149(40MR-MS) შერეული რეაქცია გამოავლინეს ზრდასრულ ფაზაში, ხოლო აღმონაცენის ფაზაში გამძლე რეაქცია აჩვენეს. ჯიშები თბილისიური 5, დოლის პური 35/4, ლაგოდეხის გრძელთავთავა, კორბოულის დოლის პური, ახალციხის წითელი დოლი, თეთრი იფქლი, ვარძია, სომნეზ, ლომთაგორა 107(60MS), ლომთაგორა 109(40MS), ლომთაგორა 126(40MS), ლომთაგორა 149(30MS) მიმღები და საშუალოდ მიმღები (MS) აღმოჩნდა ღეროს ჟანგასადმი. საკონტროლო ჯიშ ბეზოსტაია 1-ზე დაავადების განვითარების ინტენსივობა 80% იყო (Sikharulidze et.al.2015).

ხორბლის ადგილობრივი გენოტიპების 20 ნიმუში გამოცდილი იქნა აშშ მინესოტას უნივერსიტეტის მარცვლოვანთა დაავადებების ლაბორატორიაში მაღალვირულენტური Ug99 რასათა ჯგუფის 4 ვარიანტის მიმართ. მათ შორის, 3 იზოლატი 04KEN156/04 (რასა TTKSK), 06KEN19V3(რასაTTKST), 07KEN24-4 (რასა TTKSK) კენიური წარმოშობისაა და ერთი იზოლატი 06YEM34-1 (რასაTRTTF) იემენის პოპულაციიდანაა გამოყოფილი. დაავადებაზე ნიმუშების რეაქციის ტიპების მიხედვით 9 ენდემური სახეობიდან 7 სახეობა - *Tr.monoccoccum (Var.laetissimum Korn), Tr.tomopheevi (Var.tipicum Shuk-var.viticulosum Shuk), Tr.ibericum Men(Var.fuliginosum Shuk), T. Dicoccum (var.faruum*), *Tr. Macha Dek et Men (Var.megrelicum Men), Tr.*

Macha Dek et Men (Var.palaeo-imereticum Men) და Tr. Macha Dek et Men (Var.*cochicum Dek et Men.)* აღმონაცენის ფაზაში გამძლე იყო Ug99-ის სამივე კენიური რასის მიმართ. *Tr.ibericum Men (Var.stramineum zhuk)* და *T. georgicum* Dekapr (კოლხური ასლი) მიმღები აღმოჩნდა. იემენური წარმოშობის რასის მიმართ ყველა სახეობა საშუალოდ მიმღები იყო გარდა ერთი სახეობისა (*T.macha Var. megrelicum* Dek et Men). ძველი ქართული ჯიშები (ახალციხის წითელი დოლი, თეთრი იფქლი, ვარძია, ალმასი) მიმღები იყო ოთხივე რასისი მიმართ, ხოლო, საერთაშორისო სანერგეებიდან გამორჩეული პერსპექტიული ჯიშები ლომთაგორა 107, ლომთაგორა 109, ლომთაგორა 149, ლომთაგორა 123, ლომთაგორა 155, ლომთაგორა 126-ის გარდა, გამძლე აღმოჩნდა Ug99 ყველა რასისადმი (Dumbadze et.al., 2014). გამძლე პერსპექტიული ჯიშების გამოვლენა მნიშვნელოვანი მონაპოვარი და დაავადების კონტროლის ეფექტური საშუალებაა ქვეყანაში Ug99 რასის წარმოშობის შემთხვევაში.

2013-2014 წლებში ხორბლის ღეროს ჟანგას საქართველოში გავრცელებული პოპულაციის მიმართ ხელოვნურ ინფექციურ ფონზე გამოვცადეთ CYMMIT-ის მიერ მოწოდებული გამორჩეული, დაწინაურებული სასელექციო მასალა - 4th International Winter Wheat Stem Rust Resistant Nursery, რომელიც წარმოდგენილი იყო ღეროს ჟანგასადმი გამძლე საშემოდგომო ხორბლის დაწინაურებული 85 გენოტიპით.

ჩატარებული ცდის შედეგად გამოვლენილი იქნა 15 გამძლე (R) გენოტიპი, რომელთაგან 10 ნიმუში (T03/17, TAM-107/T21, SD92107-2/SD99W042, KS95U522/TX95VA0011) F1/JAGGER, AR800-1-3-1/NW97S320, FL9547/NC00-14622, FL9547/TX00D1626, TAM302/ KS93U450, MCCORMİCK/TREGO, NC00-14622/2137) არის ამერიკული სელექციის, 4 ნიმუში (TAM200/KAUZ//GOLDMARK/3/BETTY, KS920709-B-5-1-1/BURBOT-4, TAM200/KAUZ/ 4/ BEZ/ NAD// KZM (ES85.24)/ 3/ F900K, SOMNEZ) - თურქული და ერთი რუსული ჯიში „აფინა“. 39 ნიმუშმა გამოავლინა საშუალოდ გამძლე (MR) რეაქცია. გამძლე გენოტიპების დიდ უმრავლესობას ჰქონდა ინფექციურობის კოეფიციენტის (C.I. 0.2-0.5) და AUDPC-ს (10-ზე ნაკლები) დაბალი მაჩვენებლები და ისინი ხასიათდებიან როგორც ღეროს ჟანგასადმი საველე გამძლეობის მქონე გენოტიპები. 15 ნიმუშმა აჩვენა შერეული რეაქცია MR-MS, ხოლო დანარჩენი 17 ნიმუში იყო საშუალოდ მიმღები დაავადებისადმი. რამდენიმე მიმღები ნიმუში,

რომლებსაც დაბალი ინფექციურობის კოეფიციენტი აქვთ, შეიძლება ჩაითვალოს საშუალო საველე გამძლეობის მქონე გენოტიპებად.

ამგვარად, ხორბლის ღეროს ჟანგას ქართული პოპულაციის მიმართ 4th-IWWSRR საერთაშორისო სანერგის გენოტიპების 93% გამძლე და საშუალოდ გამძლე აღმოჩნდა. ეს ჯიშები და ხაზები მომავალში შეიძლება გამოყენებული იქნას ხორბლის გაუმჯობესების ადგილობრივ და საერთაშორისო სასელექციო პროგრამებში, როგორც საუკეთესო დონორები. ჩვენი ცდების საფუძველზე გამძლეობით გამორჩეული 32 ნიმუში გადავეცით სოფლის მეურნეობის კვლევის ცენტრის ერთწლიანი კულტურების კვლევის დეპარტამენტს სამეურნეო მახასიათებლების შესწავლის მიზნით შემდგომი სელექციური კვლევისათვის.

1.4.2.ხორბლის გამძლეობის გენების ეფექტურობა ზრდასრულ ფაზაში

სასოფლო სამეურნეო კვლევების საერთაშორისო ცენტრებთან (ICARDA, CYMMIT) თანამშრომლობის შედეგად მათ მიერ მოწოდებული ღეროს ჟანგას საერთაშორისო ე.წ. „ხაფანგი“ სანერგეები (7th ISRTN-12, 8th ISRTN და 9th ISRTN-14) გამოცდილი იქნა სხვადასხვა აგროეკოლოგიურ ზონაში ბუნებრივ ინფექციურ ფონზე.

ღეროს ჟანგას მიმართ იმუნური აღმოჩნდა 13 ნიმუში, გამძლე (R) - 17, ზომიერად გამძლე (MR) -21 და ზომიერად მიმღები - 15 ნიმუში. შერეული რეაქცია (MR - MS) აჩვენა 16 ნიმუშმა. დადგენილი იქნა, რომ 20 გამძლეობის გენი: *Sr7a, Sr7b, Sr8a, Sr8b, Sr9b, Sr21, Sr23, Sr24, Sr25, Sr27, Sr28, Sr31, Sr32, Sr33, Sr34, Sr35, Sr36, Sr37, Sr39, Sr40* და ზოგიერთი მათგანის კომბინაცია ერთ გენოტიპში (*Sr 24+31, Sr 6+36, Sr 6+31+36, Sr 6+24+36, Sr 6+7+12, Sr 6+24+36*) ეფექტურად უზრუნველყოფს ზრდასრულ ფაზაში ხორბლის ღეროს ჟანგასაგან დაცვას.

ამრიგად, სხვადასხვა წარმოშობის და სხვადასხვა სელექციურ ეტაპზე მყოფი სასელექციო მასალის (ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშები, სახეობები, სახესხვაობები, ჰიბრიდული ფორმები, დაწინაურებული ჯიშები) საქართველოში გავრცელებული ხორბლის ღეროს ჟანგას პოპულაციისადმი ბუნებრივ და ხელოვნურ ინფექციურ ფონზე შეფასების შედეგად ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული იქნა გამძლე

გენოტიპების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რაც ეროვნული და საერთაშორისო სასელექციო პროგრამებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და სამეცნიერო პროდუქტია ხორბლის გამძლეობის გაუმჯობესებისა და ახალი გამძლე ჯიშების შექმნისა და წარმოებაში დანერგვის თვალსაზრისით.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

1. 2012-2015 წლებში ხორბლის ღეროს ჟანგა გავრცელებული იყო საქართველოს ყველა გეოგრაფიულ ზონაში მეტ-ნაკლები ინტენსივობით. დაავადების გავრცელების და განვითარების შედარებით მაღალი დონით გამოირჩეოდა მესხეთისა და შიდა ქართლის ზონა, სადაც კოწახურის ბუჩქები უხვად არის ხორბლის ნათესებთან ახლოს.

2. ეციო- და ურედინიოპოპულაცია მაღალვირულენტურია, რადგან შეიცავს გაანალიზებული გამძლეობის გენების დიდი უმრავლესობისადმი კომპლემენტარულ ვირულენტობის გენებს.

3. ხორბლის ღეროს ჟანგას ურედინიაპოპულაციაში დომინირებდა სამი რასა: PRCQP(14.5%), PKPTF(13.1%) და PRCTF(12%). ექვსი რასა PCHTP, PKFTC, PRCQF, PHCTF, TKFTF, TKPTF პოპულაციის 9.4-2.6%-ს შეადგენდა, დანარჩენი 32 რასა ძალიან დაბალი (0.3-2.9%) სიხშირით იყო გავრცელებული.

4. კვლევის განმავლობაში ხორბლის ღეროს ჟანგას პოპულაციაში არ დაფიქსირებულა Ug99 რასათა ჯგუფის არც ერთი ვარიანტი.

5. ხორბლის განვითარების აღმონაცენისა და ზრდასრულ ფაზაში მაღალი ეფექტურობა გამოავლინეს გამძლეობის გენებმა: *Sr9b, Sr21, Sr24, Sr25, Sr27, Sr28, Sr31, Sr32, Sr33, Sr34, Sr35, Sr36, Sr37, Sr39, და Sr40.*

6. გამოკვლევის წლების მიხედვით, პათოგენის ვირულენტური სტრუქტურა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით არსებითად არ შეცვლილა.

7. პათოგენის გეოგრაფიული წარმოშობა და ხორბლის ჯიში არ ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას საქართველოში გავრცელებული ღეროს ჟანგას პოპულაციის სტრუქტურის ფორმირებაზე.

8. ხორბლის ღეროს ჟანგას ურედინიაპოპულაციის გენეტიკური და მოლეკულური ანალიზის შედეგების თანახმად საქართველოში გავრცელებულია ერთიანი პოპულაცია და მის შიგნით გამოიყოფა ვეგეტატიური გზით წარმოქმნილი პოპულაციის დიდი ნაწილი და სქესობრივი ჰიბრიდიზაციის გზით ფორმირებული პოპულაციის მცირე ნაწილი.

9. მაღალვირულენტური Ug99 რასის მიმართ გამოცდილი 20 გენოტიპიდან აღმონაცენის ფაზაში გამძლე და საშუალოდ გამძლე იყო 7 სახეობა - *Tr.monoccoccum* (*Var.laetissimum Korn*), *Tr.tomopheevi* (*Var.tipicum Shuk-var.viticulosum Shuk*), *Tr.ibericum Men* (*Var.fuliginosum Shuk), T. Dicoccum*(*var.faruum*), *Tr. Macha Dek et Men* (*Var.megrelicum Men*), *Tr. Macha Dek et Men* (*Var.palaeo-imereticum Men*) *და Tr. Macha Dek et Men* (Var.*cochicum Dek et Men.*) და საერთაშორისო სანერგეებიდან გამორჩეული 5 ჯიში: ლომთაგორა 107, ლომთაგორა 109, ლომთაგორა 149, ლომთაგორა 123, ლომთაგორა 155.

10. ღეროს ჟანგასადმი გამძლე საშემოდგომო ხორბლის მე-4 საერთაშორისო სანერგედან (4th-IWWSRR) გენოტიპების 93% გამძლე და საშუალოდ გამძლე იყო „ქართული“ პოპულაციის მიმართ ზრდასრულ ფაზაში, რაც მნიშვნელოვანი მონაპოვარია ადგილობრივი სასელექციო პროგრამისათვის.

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი

❖ საქართველოში გავრცელებული ხორბლის ღეროს ჟანგას ვირულენტობის მონიტორინგი უნდა გაგრძელდეს, რადგან კვლევის შედეგად მიღებული შედეგები ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სასელექციო პროგრამებისათვის.

❖ ხორბლის აღმონაცენის და ზრდასრულ ფაზაში კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული ეფექტური გამძლეობის გენები და გენთა კომბინაციები შეიძლება გამოყენებული იქნას ადგილობრივ და საერთაშორისო სასელექციო პროგრამებში, რასასპეციფიკური და საველე გამძლეობის წყაროების გამოვლენისა და მათი სელექციურ პროცესში ჩართვის მიზნით.

❖ კვლევის შედეგად გამორჩეული გამძლე 7 სახეობა მომავალში შეიძლება გამოყენებულ იქნას ხორბლის გაუმჯობესების ადგილობრივ და საერთაშორისო სასელექციო პროგრამებში, ხორბლის გამძლეობის გაუმჯობესების მიზნით, როგორც საუკეთესო დონორები.

❖ ჩატარებული კვლევების საფუძველზე საერთაშორისო სანერგედან გამორჩეული 32 გამძლე ნიმუში გადაეცა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სელექციონერებს სამეურნეო მახასიათებლების შესწავლისა და მომავალში წარმოებაში დანერგვის მიზნით.

❖ წარმოდგენილი კვლევის შედეგად გამდიდრებული ჟანგების პათოტიპთა ბანკი შეიძლება გამოყენებული იქნას სელექციონერებისა და დაინტერესებული პირების მიერ ახალი შემოტანილი ხორბლის ჯიშების გამძლეობის დონის და ჩვენს პირობებში ახალი პესტიციდების ეფექტურობის შეფასების მიზნით.

სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ გამოქვეყნებული შრომები

1. R.Z. Dumbadze, Z.V. Sikharulidze. Virulence Structure of the Wheat Stem Rust Population in Georgia. International Journal of Agriculture Innovations and Research. Volume 4, Issue 6, ISSN (Online) 2319-1473. 2016

2. რ.დუმბაძე, ზ. სიხარულიძე. ხორბლის ღეროს ჟანგას გავრცელება საქართველოში 2012-2014 წლებში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ISSN 1512-2743, გვ.172-175 თბილისი, 2015

3. Z.V. Sikharulidze, R.Z. Dumbadze, K. D. Sikharulidze. Resistance level of introduced germplasm of wheat to stem rust in Georgia. Biological Forum-An International Journal, ISSNNo.(Print)0975-1130,ISSNNo.(Online):2249-3239,2015

4. Z. Sikharulidze, K. Natsarishvili, R. Dumbadze, L. Mgeladze, T. Tsetskhladze. Monitoring of Cereal rusts in Georgia in 2009-2013. Biological Forum-An International Journal 7(1):721-725, 2015 http://researchtrend.net/ bf12/ 118%20DR%20Z.%20SIKHARULIDZE.pdf

5. Zoia Sikharulidze, Lali Mgeladze, Rusudan Dumbadze**,** Ketino Natsarishvili, Nana Chkhutiashvili. Reaction of wheat germplasm to stem rust in Georgia. Ekin journal of Crop Breeding and Genetics Vol.1 No.1 p.63-68, 2015.

6. R.Z. Dumbadze, Z.V.Sikharulidze, G.A.Chkhutiashvili, L.A. Mgeladze, K.T. Natsarishvili. Evaluation of Wheat Germplasm for resistance to Stem Rust. Annals of Agrarian Science Vol.12 No.2 p.8-13, 2014. http://agrscience.ge/article/view/631

LEPL „Batumi Shota Rustaveli State University''

Faculty of Technologies

Department of Agroecology and Forestry

Rusudan Dumbadze

Genetic and Molecular polymorphism of Wheat Stem Rust in Georgia and Screening for Disease Resistance in Wheat Germplasm

Annotation of Dissertation Submitted for Awarding Doctor's Academic Degree in Agrarian Science

Batumi 2017

The dissertation thesis has been prepared at the department of Agroecology and Forestry of the faculty of Technologies Batumi Shota Rustaveli State University.

